საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/199

19 - ნოემბერი, 2019 წელი

ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2019 წლის 15 ნოემბრის N1564183 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების დანართი 1-ში (წესში) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;";

ბ) წესის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,7. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, სხვა შემთხვევაში, განმეორებით/დამატებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობა ითვლება სწავლის შედეგის მიუღწევლობად. ცენტრის დირექტორი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი/დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს.";

გ) წესის **ფორმა 2 („შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმა")** ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით (დანართი 1);

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს: პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის
მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N 01-02/139 ბრძანების

დანართი 1

ფორმა N 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმა

შეფასების ინსტრუმენტის დასახელება	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და განხორციელების დაწყების თარიღი (თარიღი/თვე/წელი)	
მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი:	
მოდულის დაწყებისა და დასრულების თარიღი	

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი	
სწავლის შედეგი და დადასტურების თარიღი	
შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) თარიღი:	
შეფასების ინსტრუმენტის შემმოწმებლები	ხარისხის მართვის მენეჯერი : დარგის სპეციალისტი:

	შეფასების ინსტრუმენტის წინასწარი (პირველადი) შემოწმების კრიტერიუმები	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი /შენიშვნები
1.	შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ზოგადი ხასიათის ინფორმაციას				
1.1.	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელებას;				
1.2.	პროგრამის დასახელებას;				
1.3.	მოდულის სახელწოდებას და სარეგისტრაციო ნომერს;				
1.4.	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თარიღს/თვეს/წელს;				
1.5.	პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელს და გვარს;				
1.6.	პროფესიული სტუდენტის სახელს და გვარს;				
1.7.	შეფასების ჩატარების ადგილს				
1.8.	შეფასების ჩატარების თარიღს				
2.	შეფასების ინსტრუმენტში შესაბამისობაშია შესაფასებელი სწავლის შედეგები/შესრულების კრიტერიუმები				
3.	შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისობაშია მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან				

4.	შეფასება ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს				
5.	წარმოდგენილია სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა				
6.	სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა მარტივი და გასაგებია				
7.	აღწერილია „დამატებითი პირობები"				
8.	განსაზღვრულია დავალების დადასტურების პირობები (თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად)				
9.	დავალების დადასტურების პირობები გასაგებად არის აღწერილი				
10.	განსაზღვრულია რა სახის მტკიცებულება იქნება წარმოდგენილი სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის დასადასტურებლად				
11.	შერჩეული მტკიცებულება ვალიდურია (მიზნის შესაბამისი)				
12.	შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისია შეფასების განსახორციელებლად				
13.	შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია ავტორი/ავტორები				
14.	შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია ვერიფიკატორი (ინსტრუმენტის შემმოწმებელი):				
15.	გაწერილია განმეორებითი შეფასების პროცედურები				

რეკომენდაციები/შენიშვნები შეფასების ინსტრუმენტის გასაუმჯობესებლად (არსებობის შემთხვევაში):

პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა და თარიღი ----------

დარგის სპეციალისტის ხელმოწერა და თარიღი ----------

ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა და თარიღი ----------